ჩონგური საქართველოა, ხიმები ჩვენ ვართ ყველაო!

2014 წელი

1-15 ივლისი

№13 (9340)

# კოლხეთი

გაზეთი გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

ფასი 40 თეთრი

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

მუნიციპალიტეტის ამბები

## ბენდ „Starlight"-ის კონცერტი ღია ცის ქვეშ



სასწავლო წლის დასრულებასთან დაკავშირებით, 21 ივნისს, სენკის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში არსებულმა საესტრადო წრის აღსაზრდელებმა, ახალშექმნილი ბენდ „Starlight"-ის წევრებმა, რომელსაც ხელმძღვანელობს სალომე ბერიშვილი, ღია ცის ქვეშ გამართეს საზეიმო კონცერტი. ბენდის შექმნას საფუძვლად დაედო კულტურის სამინისტროს მიერ საჩუქრად გადმოცემული საესტრადო საკრავების სრული კომპლექტი. მისი წევრები არიან: თეკლე ფაცაცია, მარიამ კინწურაშვილი, მეგი ცისკაძე, საბა გუგუნავა, ლუკა გოროზია, გიორგი გულუა.

## ნოქალაქევის საზაფხულო სკოლამ საქმიანობა განაახლა



საქმიანობა განაახლა ნოქალაქევის ინგლისური ენის შემსწავლელმა საზაფხულო სკოლამ, რომლის ფარგლებშიც მ/წლის 30 ივნისს სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის სხდომათა დარბაზში პროექტის მონაწილეებს – მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებს შეხვდნენ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილე დავით ლომიტაშვილი, ნოქალაქევის ქართულ–ბრიტანული საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი ნიკოლოზ მურღულია და გამგეობის განათლების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი ირმა კუპრეიშვილი.

შეხვედრისას დავით ლომიტაშვილმა ყურადღება გაამახვილა პროექტის პრიორიტეტულ მხარეებზე და ნაყოფიერი დღეები უსურვა მონაწილეებს.

1 ივლისს ინგლისური ენის შემსწავლელი ნოქალაქევის საზაფხულო სკოლის მოსწავლეები კიდევ ერთხელ მიეახლნენ ციხე–გოჯის ქონგურებს, მოისმინეს საუბრები ძირძველი არქეოპოლისის ისტორიაზე. ასევე გაეცნენ ქართულ–ბრიტანული ექსპედიციის სამუშაოებს.

გაცნობითი და შემეცნებითი ხასიათის ემოციებით დატვირთული დღე საწინდარი გახდა საინტერესო და მრავალფეროვანი თანამშრომლობისა.

## ნარკომანიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე

26 მაისს, სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით, სენაკში აღინიშნა ნარკომანიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე. მოეწყო მსვლელობა: ახალგაზრდებმა მოქალაქეებს ქუჩებში კიდევ ერთხელ შეახსენეს, თუ რა საფრთხის შემცველია ეს სენი და დაარიგეს ბუკლეტები სლოგანებით: "ფრთხილად, ნარკოტიკი კლავს", „მე ვირჩევ სიცოცხლეს". მუნიციპალიტეტის გამგეობის სხდომათა დარბაზში კი გაიმართა დისკუსია ქვეყნისა და საზოგადოების თითოეული წევრისთვის ამ მნიშვნელოვან და მტკივნეულ თემაზე. მოწვეულები იყვნენ: მამა გა-



ბრიელ წულაია, ექიმი ნარკოლოგი თენგიზ დემურია, ექიმი ეკა ელიავა, სენაკის პოლიციის სამმართველოს წარმომადგენლები: სოფო ჯანაშია და ზაზა კვაშილავა. დისკუსიაში მონაწილეობას ღებულობდნენ: გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი ნატო ფულარია, ადგილობრივი თვითმმართველობის წევრები, სენაკის ახალგაზრდობა. როგორ ვებრძოლოთ ნარკომანიას და რა მეთოდებით არის შესაძლებელი ამ საშიშროებისგან ახალგაზრდობის დაცვა?! აღინიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოვრების ჯანსაღი წესის მაქსიმალურ დანერგვას ახალგაზრდებში, მათი სულიერი განვითარებისა და დასაქმების ფაქტორს. ღონისძიების მსვლელობისას ნაჩვენები იყო სიუჟეტი ნარკომანიით დაავადებულთა რეაბილიტაციის საკითხებზე.

## „გზის გასაყართან"



3 ივლისს, აკ. ხორავას სახელობის სენაკის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, სენაკის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა სენაკის სამუსიკო სკოლის ბავშვთა ანსამბლის კონცერტი "გზის გასაყართან", რომელიც მიეძღვნა ავთანდილ გოგოტიშვილის ხსოვნას.

ავთანდილ გოგოტიშვილის სახელი სენაკის ისტორიის კუთვნილებაა, მან არაერთი თაობა აღზარდა, აამღერა, მისეული შარმი და ხედვა, დახვეწილი გემოვნება და პლასტიკა დაამკვიდრა სცენაზე.

დღეს მის გზას ავთანდილ გოგოტიშვილის ქალიშვილი - ანი გოგოტიშვილი აგრძელებს. საღამოზე ერთმანეთს ენაცვლებოდა საბავშვო, ქართული და უცხოური პოპულარული სიმღერები, ცეცხლოვანი ცეკვები.

ეკრანზე გამოჩნდა მონატრებული მაესტროს განვლილი გზის ამსახველი კადრები, რომელსაც მაყურებლის გულწრფელი ცრემლი და ოვაცია მოჰყვა.

შესრულებულ ნომრებს განსაკუთრებულ შარმს მატებდა დახვეწილი ქორეოგრაფია (ქორეოგრაფები: ნონა ჯანაშია და იმედო თუნთია). საღამოს რეჟისორი გახლდათ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ირაკლი ადამია.

## ENPARD – პროექტი: „თანამშრომლობა საქართველოში სოფლის აღორძინებისათვის"



„ევროპული სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის" (ENPARD -საქართველო) საქართველოში ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ქეა საერთაშორისო კავკასიაში, რეგიონალური განვითარების ასოციაცია RDA და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა ერთობლივად ახორციელებს პროექტს სახელწოდებით: „თანამშრომლობა საქართველოში სოფლის აღორძინებისთვის" შემდეგ მუნიციპალიტეტებში: სენაკი, ხობი, აბაშა, ლანჩხუთი, ჩოხატაური, ოზურგეთი, ცაგერი.

პროექტის ფარგლებში გამოცხადდა პირველი საგრანტო კონკურსი, რომელიც მიზნად ისახავდა ბიზნესით დაინტერესებულ ფერმერთა ჯგუფების და უკვე არსებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წევრთა მიერ წარმოდგენილი საპროექტო განცხადებების საფუძველზე საუკეთესო ბიზნეს-იდეების გამოვლენას და მხარდაჭერას.

საგრანტო კონკურსის პირველი ეტაპის შედეგად, პროექტის სამიზნე მუნიციპალიტეტებიდან სულ 105 საპროექტო განაცხადი იქნა მიღებული. გამჭვირვალე და მრავალეტაპიანი განხილვის პროცესის შემდეგ, 29 საპროექტო განაცხადი (აქედან 2 ფერმერული ჯგუფი უკვე რეგისტრირებულია, როგორც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი) შეირჩა. მათი განმცხადებლები გააგრძელებენ მონაწილეობას კონკურსის შემდეგ ეტაპზე. დაწუნებული 76 საპროექტო განაცხადიდან, 9 განაცხადის ავტორს მიეცა რეკომენდაცია გააუმჯობესონ ისინი და მონაწილეობა მიიღონ ახალ საგრანტო კონკურსში.

შერჩეულ საპროექტო განცხადებებს შორის წარმოდგენილი სასოფლო-სამეურნეო სექტორი მრავალფეროვანია. კერძოდ: რძის პროდუქტების წარმოება, ბოსტნეულის და ხილის წარმოება სათბურებში, ჩაის წარმოება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შენახვა-დასაწყობება, მეფუტკრეობა და სხვა.

29 ფერმერული ჯგუფიდან თითოეულის 3 წევრი მონაწილეებას ღებულობს ტრენინგ-პროგრამაში ორგანიზაციული განვითარების და ბიზნესის დაგეგმარების საკითხებზე, რომელიც დაიწყო 2 ივლისს სენაკში, მუნიციპალიტეტის გამგეობის სხდომათა დარბაზში და დასრულდება 22 ივლისს გურიის რეგიონში. ტრენინგ-პროგრამაში მონაწილეობას ასევე მიიღებენ სამიზნე მუნიციპალიტეტების საინფორმაციო-სამეურნეო-საკონსულტაციო ცენტრების წარმომადგენლები.

ტრენინგ-პროგრამით გათვალისწინებული მასალა საშუალებას მისცემს ფერმერთა ჯგუფების წევრებს შეიძინონ ეფექტური მართვის უნარ-ჩვევები, ასევე, მოამზადონ შესაბამისი საპროექტო განაცხადები, რის შემდეგაც ისინი მიიღებენ მონაწილეობას საგრანტო კონკურსის მეორე ეტაპში. პროექტის ფარგლებში თანადაფინანსებისა და ტექნიკური მხარდაჭერის მისაღებად შეირჩევა საუკეთესო საპროექტო განაცხადები ბიზნესით დაინტერესებული მხოლოდ ისეთი ფერმერული ჯგუფებიდან, რომელთა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის უპორატესი მხარე არის ჯგუფის მდგრადობა.

ENPARD - პროექტი: „თანამშრომლობა საქართველოში სოფლის აღორძინებისთვის" გუნდი უკვე ჩართულია ახალ საინფორმაციო კამპანიაში ბიზნესით დაინტერესებულ ფერმერთა ჯგუფების ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით. აღნიშნულთან დაკავშირებით, პროექტის გუნდი მუშაობს სამიზნე მუნიციპალიტეტებში ფერმერთა ჯგუფების ან უკვე დაინტერესებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესარჩევად.

**გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამსახური**

# შემოქმედებით გზაზე



მარიამ ნიკოლავა პროფესიით ფილოლოგია, დამთავრებული აქვს ფილოლოგიის ფაკულტეტი ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. წერა ადრეული ასაკიდან დაიწყო. მისი ლექსები იბეჭდებოდა რაიონულ და რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში: „კოლხეთში", „ლიტერატურულ პალიტრაში", „რაეოში"

პირველი წიგნის ავტორი 2010 წელს გახდა, ეს არის ნაწარმოები-სამეგრელოს დიდი წმინდანის, ალექსი ბერის(შუშანია)-ს შესახებ, რომელიც პოემის სახით გამოსცა, ნაშრომი განხილულ იქნა საქართველოს საპატრიარქოს სარეცენზიო საბჭოს მიერ. ამავე წელს მოეწყო პირველი წიგნის პრეზენტაციაც პოეტ ერეკლე საღლიანის ორგანიზატორობით, რომელმაც საინტერესოდ წარადგინა მსმენელთა წინაშე.

ეს წარდგინება შედგა თბილისის ჟურნალისტთა სახლში.

შემდგომ ამისა დაწერა „ღვთისმშობლის სადიდებელი", 2011 წელს კი მალევე გამოიცა.

„ღვთისმშობლის სადიდებელთან" ერთად გაერთიანებულია –პატრიოტული ლექსებიც. ამავე წიგნის პრეზენტაციაც ბატონ ერეკლე საღლიანისა და ბატონ რეზო ადამიას თანადგომით ჩატარდა, სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში.

შემდეგ გადაწყვიტა პროზაში ეცადა ბედი, დაწერა წიგნი სახელოვანი მხატვრის და მწერლის ბატონ რეზო(ემელიანე) ადამიას შემოქმედების და ზოგადად ხელოვნების შესახებ, რომელიც გამოიცა 2013 წელს, საქართველოს რუსთველის საზოგადოების პრეზიდენტ, მწერალ დავით შემოქმედელის რედაქტორობით.

მარიამ ნიკოლავა მწერალთა კავშირის წევრი გახდა 2014 წლის 13 ივნისს.

გაზეთის რედაქცია ნიჭიერ გოგონას ულოცავს მწერალთა კავშირის წევრობას და უსურვებს წარმატებებს.

აქვე გთავაზობთ მილოცვებს, რომლებიც რედაქციას გამოუგზავნეს.

**ვულოცავ ჩემს სულიერ შვილს, ჩვენს ტაძარში აღზრდილს, პოეტსა და მწერალს მარიამ ნიკოლავას მწერალთა კავშირში გაერთიანებას. იმედი მაქვს მკითხველს კვლავ გაახარებს თავისი შემოქმედებით. მისი პირველი წიგნი ხომ წმინდა ალექსი ბერის(შუშანია) ცხოვრებას ეხება, დალოცვილი ყოფილიყოს უფლისაგნ, მთავარანგელოზების მიქაელ და გაბრიელის, წმინდა ალექსი ბერისაგან. მარიამის წარმატებამ ალექსი ბერის შთამომავლებს დედა ნინო და ზოია შუშანიებს, პირადად მე და ტაძრის მრევლს დიდი სიხარული მოგვანიჭა მისმა წარმატებამ.**

მენჯის მთავარანგელოზების მიქაელ და გაბრიელის ტაძრის წინამძღვარი არქიმანდრიტი მელქისედეკი

**ვულოცავთ ჩვენი ქალაქის მკვიდრს ახალგაზრდა მწერალსა და პოეტს მარიამ ნიკოლავას მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრად გახდომას, ვუსურვებთ წარმატებებს და შემოქმედებით წინსვლას.**

სენაკის აკაკი ხორავას სახელობის დრამატული თეატრი

ივანე მაჩაბელი-160

# „26 ივნისის საიდუმლო"



ქართული ლიტერატურის ისტორია არის საგანძე,საცა ვპოულობთ სულის ღონეს, სულის ბგერას, ზნეობით და გონებით აღმატებულებას. თუნდაც დროთა ბრუნვას ერი განეყოს, იდუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ სამყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს დაძინებულმა ისტორიამ.

უკვალოდ გამქრალი ივანე მაჩაბლის მიძინებული ისტორიის გაცოცხლება თითოეული ქართველისათვის ჭრილობაზე მარილის მოყრაა. მას 160 წელი შეუსრულდებოდა.

მე–19–ე საუკუნის ქართული ინტელიგენციის ერთ–ერთი წამყვანი ფიგურის, ილია ჭავჭავაძის მემკვიდრის,პუბლიცისტის, ჟურნალისტის, შექსპირის ტრაგედიების ბრწყინვალე მთარგმნელის, ახალი სალიტერატურო ენის ფუძემდებლის–ვანო მაჩაბლის საიუბილეო თარიღმა განაპირობა 2014 წლის 27 ივნისს სენაკის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ორგანიზებით ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩატარებულიყო ლიტერატურული საღამო „26 ივნისის საიდუმლო".

ღონისძიების დაწყებამდე კიდევ ერთხელ გაიხსენეს და უკვდავყვეს ძირით თხემამდე კაცთმოყვარე,სულგრძელი ადამიანის, ჭეშმარიტი მამულიშვილის, მსახიობ –ლერი ჯალაღონიას ხსოვნა.

ლიტერატურული საღამოს კომპოზიცია შინაარსობრივად გაშალეს კულტურის ცენტრთან არსებული მხატვრული წრის მოსწავლეებმა. მათ გააცოცხლეს სცენა ,როგორ უტარდებოდა ივანე მაჩაბელს ქართულის გაკვეთილი მე–19 საუკუნის თბილისის გიმნაზიაში. ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა შესანიშნავი პედაგოგი პეტრე უმიკაშვილი, რომელიც მოსწავლეებს ქართული კულტურის სიყვარულს უღვივებდა.

პედაგოგის როლი ნიჭიერად შეასრულა საბა გუგუნავამ. პატარა ივანე მაჩაბელი განასახიერა ბუდუ ჩაჩიბაიამ.

მოგეხსენებათ,ივანე მაჩაბლის ცოლი გახლდათ ანასტასია ბაგრატიონ–დავითაშვილი,თუმცა მის უჭკნობ სიყვარულად რჩება იმდროინდელი თეატრის ამომავალი ვარსკვლავი მაკო საფაროვა.მაკო საფაროვასა და ვანო მაჩაბლის როლები ოსტატურად მოირგეს სალომე გოჩალეიშვილმა და იგორიკო ნარმანიამ. ლექსები ვანო მაჩაბელზე წაიკითხეს:ტატა სიჭინავამ და გიორგი ცისკაძემ.ვანო მაჩაბლის ცხოვრება და მოღვაწეობა გაგვაცნეს:მეგი ცისკაძემ,ლილიკა გვარამიამ, ანი ყურაშვილმა, ბაჩანა პაჭკორიამ, თამთა ლომიამ, გიორგი ხუნჯუამ.

მათ ვანო მაჩაბელი გაგვაცნეს როგორც ჟურნალისტი, რომელიც წინააღმდეგობას უწევდა ფართო მასშტაბის პუბლიცისტებს, მათ შორის ნიკო ნიკოლაძეს. როგორც ბანკირი, რომელსაც მთელ საქართველოში უხდებოდა მიმოსვლა და დასაგირავებელი მამულების შეფასება."ის წერა–კითხვის საზოგადოების გამგეობის ერთ–ერთი აქტიური წევრია"–მოგვითხრობდნენ ახალბედა წამყვანები,მაჩაბელი თეატრისთვის თარგმნის პიესებს, ბანკში ორი თანამდებობა უჭირავს,"დროება–„ივერიის"რედაქტორია. რთული იყო მისი მოღვაწეობა იმდროინდელ საზოგადოებაში,სადაც გამეფებული იყო პირფერობა და ფარისევლობა,იკრძალებოდა ქართული ენა და კარგ ტონად ითვლებოდა რუსულ ენაზე საუბარი.

ამოდენა პიროვნების უკვალოდ გაქრობამ შეძრა სრულიად საქართველო. ჩაქრა ლამპარი რომლის მსგავსი საუკუნიდან საუკუნემდე იშვიათად აინთება ხოლმე.

1898 წლის 26 ივნისი ქართული ლიტერატურის ისტორიაში იდუმალებით მოცულ დღედ ითვლება. ივანე მაჩაბლის გაუჩინარებაში ბევრი აკაკის სდებს ბრალს, ბევრი ტასო ბაგრატიონ–დავითაშვილს ადანაშაულებს, იმასაც ამბობენ ილიასთან კონფლიქტს შეეწირაო,იმასაც თავი მოიკლა და მტკვარში გადახტაო, თუმცა ფაქტი ფაქტია-ვერც მისი ცხედარი იპოვეს და ვერც ვერავითარი ნივთმტკიცება.

რა ვიცით აკაკის ბრალეულობაზე, ის რომ აკაკის ტასო ბაგრატიონ–დავათაშვილი უყვარდა.წერილებში ჩანს, როგორც ცალმხრივი სიყვარულის ტრაგიზმი, ისე მეგობრის–ივანე მაჩაბლის დაღუპვაში მისი მონაწილეობის უმძიმესი ბრალდებით გამოწვეული ტკივილი. რაც შეეხება ილიას ბრალეულობას, ვიცით მათი მეგობრობის შესახებ, ისიც ვიცით რომ ილია ჭავჭავაძე მაჩაბელს ბრმად ენდობოდა,თუმცა ერთი მსოფლმხედველობის, აზროვნების და მისწრაფების ორი ადამიანი დაპირისპირებულ ბანაკს ჩაუდგნენ სათავეში.მათი ბრძოლა 7 წელიწადს გრძელდებოდა.საზოგადოება ორ ნაწილად გაიყო:"მაჩაბლისტებად" და „ჭავჭავაძისტებად".

თუ ორ მეგობარში დათმობა და ანგარიშის გაწევა არ იქნება სასურველი ურთიერთობაც ძნელია. იმ დიდ ბრძოლაში რაც მაჩაბელსა და ჭავჭავაძეს შორის გაიმართა, ბევრჯერ ყოფილა წუთები, როდესაც ერთსაც და მეორესაც გულით სდომიათ უკან დახევა, დათმობა ,მაგრამ ხელს უშლიდათ სიამაყე და რაც მთავარია, ის წყვდიადით მოცული საზოგადოება,რომელთაც დიდი ადამიანების შუღლი ართობდათ.

მაჩაბლის ტრაგიკული სიკვდილი ხელს აძლევდათ სოციალ–დემოკრატებს. მაშინ ამოძრავდა ჭორების მანქანა–გენერატორი და რა აღარ თქვეს:ილიამ მოაკვლევინა, აკაკი დაეხმარაო.ვანო მაჩაბელი ისედაც ავად იყო და დიდხანს ვერ იცოცხლებდა, მაგრამ ეჩქარებოდათ–ილიასაც უნდა გახეთქოდა გული მათი მონაჭორის მოსმენის შემდეგ. მაშინ წიწამურთან აღარ დაჭირდებოდათ ტყვიის გასროლა.

ეს მკვლელობები მიდის იმ ძალებისკენ, რომელთაც საქართველოს მოუკლეს დიმიტრი ყიფიანი,კირიონ II საძაგლიშვილი,ილია ჭავჭავაძე. ჩახმახს ვინ გამოკრა ხელი მნიშვნელობა არა აქვს"–ასე მსჯელობდნენ ღონისძიების მონაწილეები.

საღამოზე ნაჩვენები იყო ივანე მაჩაბლის გაუჩინარების რამდენიმე ვერსიის ვიდეო მასალა. დარბაზში მსხდომნი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს და უფრო შეიგრძნობდნენ ივანე მაჩაბლისა და იმ დიდი ადამიანების წამების ჯვარს, რომლებმაც პირადულზე მაღლა სამშობლოს ინტერესები დააყენეს.

დარბაზში იყო ემოციები აკაკი წერეთლის ტექსტზე სიმღერების გაჟღერებისას „სულიკო" და „ციცინათელა".სიმღერები სრული ჰარმონიითა და არტისტიზმით შეასრულეს და–ძმა მეგი და გიორგი ცისკაძეებმა.

ღონისძიების შესახებ აზრი გამოთქვეს პოეტმა გული კირცხალიამ, II საჯარო სკოლის ფილოლოგმა ნანა თავართქილაძემ, კერძო სკოლა „იესემის"მოსწავლემ მეგი ცისკაძემ.

საღამოს დამსწრეთ კი აწუხებდათ საუკუნო პასუხგაუცემელი კითხვა და პასუხს თემურ ჩალაბაშვილის ლექსით იძლეოდნენ:

იქნებ მტკვართან დაცდა ფეხი ვინ იცის
როცა მთვარე ქართლის მთა–ველს ქარგავდა
რა ჯანდაბამ დააძინა თბილისი
არ იცოდა რა დიდებას ჰკარგავდა.

ლარისა გოგუა

მადლობის მარათი

# თქვენ მცირეწლოვან ბავშვს სიცოცხლე აჩუქეთ

შპს სენაკის ბავშვთა საავადმყოფოს მედპერსონალთ: იამზე დგებუაძე, ე.კოკაია, ნ. მიქაძე, ლ. პეტრიშვილი., ნ. სამუშია, ნ. გრიგოლია, მედები: ი. გაგუა, ს. ნინუა, მ. ჭაავა, ი. დარსალია, ს. ნინუა, მთავარი ექთანი ლ. ყუფარაძე-საზოგადოების წინაშე წარდგენა არ სჭირდებათ.

ესენი ის პიროვნებებია ყოველ სენაკელს რომ ქონია მათთან „შეხება" და თუ შეხება ჰქონიათ... ეს იმას ნიშნავს, არასოდეს „გაქრეს ეს უასთნოესი ადამიანები მათი მეხსიერებიდან.

ამ დიდებულმა ადამიანებმა გულისხმიერი და დაკვირვებული მკურნალობით სიცოცხლ დუბრუნეს მენჯის მაცხოვრებელ გოგა ხორავას, რომელიც რამდენიმე დღის წინ საავადმყოფოში მიყვანილ იქნა მენინგიტის დაავდებით.

მედპერსონალმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ გადაეჩინათ ბავშვი, პრაქტიკულად მას სიცოცხე აჩუქეს.

მადლობა თქვენ, ღმერთმა გაგაძლიეროთ. თქვენი მარჯვენა და ღირსეული შემართება დაუღლელი ყოფილიყოს მოზარდი თაობებისათვის.

ნელი ჯანჯღავა

## ვასილ მესხია

### შაშვი

(ცისკრის ლექსი)
იმნაირს გალობს,
დამბურძგლა ცანში,
ამაცრეცრეცა დილაადრიან...
ამ შაშვს რომ ახლა
დავუკრა ცაში
შვილიშვილები
გიჟად
ჩამთვლიან.

ახლა თრივეს
იღბალი გვწყალობს,
(აწყდება გულზე
ღამეს ღილები...)
ზის ცოცხზე შაშვი
და ჩემთვის გალობს
მე მისთვის
ამ ლექსს ვუჯახირები...

ზის და ღმერთივით
დილას ათენებს,
მზის,
ჰანგისა და
ცისკრის ლობისცი...
და სულ არ ჩივის,
ეს მერამდენე,
ლექსს რომ უწერენ
ამ გალობისთვის...

### მადლობის ლექსი

ამ არეული
და უამინდო
დღეების გარდა
რა მაბადია...
მადლობელი ვარ-
ვინც არ დამინდო,
ვინც არ დავინდე
და მაპატია.

ვინც ჩემს ფიქრში და
ცრემლში ერია
როგორც ქალი და
როგორც არცისცი;
სიყვარულით რომ
ვერ მოვერიე,
მადლობელი ვარ
იმ ღალატისთვის.

ვინც მიწამლა და
მიუმარა
და ჩემს უაზრო
ცკივილს მიემა...
ვმადლობ,
ვინც დაღლილ
თვალს მიეფარა
და გულში ჩამრჩა
არითმიემად.

მადლობელი ვარ-
ვინც მიუვალად
დარჩა და
არც სხვა
აღარ ემება...
მადლობელი ვარ-
ვინც მიუარა,
ვინც მომეხუცა
და მომეწება...

და შენც
სიცოცხლევ,
ხან რომ ავდები,
ხან სასთუმის დგახარ თავდებად...
მადლობელი ვარ-
მე რომ ვთავდები
და სიყვარული რომ არ თავდება.

რომ რაც შემეძლო,
ჰმილით გიცავდი,
(აწ არ ღირს-
გრიგალს ფრთა რომ ვაცლოთ!)
ახლა მემერ თავს
გიხრი მიწამდი-
მადლობელი ვარ-
ჩემო მაცონო!

მადლობელი ვარ-
შენიც უფალო,
(ხაცემს მირონი
ისევ რაკი სდის)
რომ არ დამინდე
ამ სულ უმრალო
სიმდიდრისა და
სიღაცაკისთვის

### გული

ცყვია მოხვდა თუ
ცალახის გუნდა,
გულს ისიც ჭირდა-
რაც რომ გულს აცდა...
მთელი სიცოცხლე
ვცყუოდი გულთან,
ამ ერთი ციცქნა ?
მუზლუნა კაცთან!

ახლა ვუართმ
სმას და
ნაფაზს და
ქალს და...
აწმყოდან
ვდაომ წარსულთან...
ვაგლახ, რომ გული
მაშინ დაფასდა,
როცა
სიცოცხლე გაუფასურდა...

***

უცდი,
დაღლილო და დაქანცულო,
სხვა ზარს
გარდაუვალ ქვეყანიდან.
უკვე ღვინოს წუნობ და ქალს წუნობ-
ყალბს და უნაიროს ვეღარ იცან!

უკვე
განსხვავებულ ჭიქით ფრთხები,
სულში
შემოდგომის გემო არი,
ისე მოსაწყენად იკითხები,
როგორც წაკითხული მემუარი.

როცა ღლაპებივით მიგწივიან-
ლექსის მოქუფრული ცა ზეფირობს.
მაისს გაიხსენებ, იმ წვიმიანს,
როგორც დავიწყებულ საზეპიროს.

გული გიჩქარდება ეხლა უცებ,
და თუ ზამთრისპირულ ქარს აიცან...
აწი მოგონებებს ელამეცე
აწმყოს გახუნებულ არსაიდან.

აწი
მცვერს და ჰაერს შეერიე,
წლები მარგივით რომ ჩაწყობილა,
და იმ ფუფუნებას შეელიე,
რაც არ იქნება და,
არც ყოფილა...

### ზამთარი

...დრო-ჟამის
მთრთველი ჯებირები
და ზამთრის ღამეებთან დამოყვრება...
ხვალ თუ ზეგ
გაქცევასაც ვეპირები-
ჩემს ზამთარს
გაზაფხული
არ მოჰყვება.

გვლოდეთ
სიყვარულის ახდომამდი,
იმ ცეცხლით,
მრინჯაოც რომ გამოლღვება,
თქვენ ისევ
ყვავილებით აღფრთოვანდით!
ჩემს ზამთარს
გაზაფხული
არ მოჰყვება.

არ ვნანობ
სივრცეებს და
იმ მანძილებს,
არც იმ კვერს-
მოლომოლო
რაკი ცხვება...
...ეს ზამთარი თქვენამდე მიმაცილებს,
თქვენ იქეთ- გაზაფხული გაგიძღვებათ...

***

შენ რომ მოხვედი
ცრემლის რეცეპცით,
მე
იმ ცრემლითაც ვერ შეგეწიე...
ისე გიპოვე,
რომ არ გეძებდი,
და რომ გიპოვე-
მერე გეძიე.

მერე არ მეყო
სამყაროს კიდე-
გულის სისხლით და
ლექსით გარჩინე...
სხვა რაღა მექნა,
დაგკარგე კიდეც,
მაგრამ მაინც ვერ
აღმოგაჩინე!



### მემო

დამერდა შენი
„მემოს იმედი"
და სიმერეშიც
ზმანებად ჩაჰყვა:
კლასელი გოგო,
ველოსიპედი,
ხმელა ჭადი და
მამუას ჯაყვა.

ახლა, როს ძილიც
გაუსცუმარდა,
დაედო ფასი
წამებს და წუთებს,
ისევ შენ ზიხარ
მის სასთუმალთან
და სიკვდილის წინ
სიმერეს უთევ...

### დამირ კუჭავას

„ჩვენ მევრი გვაქვს სიყვარულის ვალი"
ამაოების სიმრძნეც უკვე
სიმღერად უჩანს,
რაც ხდება-
ხდება ღვთის ნებით და
მედის მრძანებით...
სვენებ-სვენებით მიუყვება
რუსთველის ქუჩას,
მიამიჯებს და მივადევნებ
თვალს მოკრძალებით.

სადაც ჩაცმული,
წესად-მუდამ
წვერგაპარსული
ხომ ვერ დაასწრებ
ამ ალალ კაცს
ვერაფერით სალამს...
თვალს გააპარებს-
ჰორიზონცზე მზეა ჩასული,
ცრემლებს მალავს და ...
ლექსებს წერს და,
იმასაც მალავს...

რა გადურჩება
ხსოვნის გორგალს
ჩამურდულს ასეთს,
ხსოვნის გვირაბის
მოლოშიღა
მჟუცავს ნათება...
ინაცრებს მამულს,
და იყიდის
მხამიან გაზეთს,
წაიკითხავს და
მოღმას
მოღმა მიემაცება...

მერე საშველად
უსაშველო საღამო მოდის,
დაჭრილ ლომივით
ჩაღრიალებს
საფლავს მუნჯადა...
წასკდება ლექსად-
მამის გულზე
დასადებ ლოდის
სიმძიმე შვილს რომ,
ვერ მოკვდა და,
ვერ აუმჩაცა...

გვიან,
დღე-ღამის
როცა უკვე ქრება სამანი,
და ჩამწვარ სხივის
დაედება
გემო უკვე ცას,
ხელს გადაუწვდენს
დიდა იქვე
შვილის სამარეს
და მამის სითმოს
საბანივით
შემოუკეცავს...

სამუსიკო სკოლაში

## „გაზაფხულზე შემოდგომა მოვიდა"



რამდენიმე წელია სენაკის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლში მოსწავლეებს მუსიკის ამ ამამაღლებელ მადლს აზიარებს გამოცდილი, კვალიფიციური პედაგოგი დარეჯან ფაჩულია. მისი მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა კონკურსებსა და ფესტივალებში

ივნისში ქ. ქუთაისში ჩატარდა კლასიკური მუსიკის საყმაწვილო ფესტივალი „დელფიადა"-2014., სადაც მონაწილეობა მიიღო დარეჯან ფაჩულიას შვიდმა მოსწავლემ.

ნინო გვარამიამ, ვარიკო ესებუამ, ვაჩე ჩალიგავამ, ანა ლატარიამ და მარიამ სანაიამ ფესტივალის გრან-პრი დაიმსახურეს, ხოლო ხათუნა გუსეინოვამ და ნანუკა დადიანმა პირველი ხარისხის დიპლომები.

ჟიურის წევრები აღფრთოვანებული დარჩნენ სენაკელი ბავშვების მომზადების დონით, რისთვისაც მადლობა გადაუხადეს სამუსიკო სკოლის დირექციას, პედაგოგს დარეჯან ფაჩულიას.

1 ივლისს სენაკის სამუსიკო სკოლის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარდა პედაგოგ დარეჯან ფაჩულიას საკლასო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 17-მა მოსწავლემ.

მოსწავლეებმა შეასრულეს ქართველი, რუსი და უცხოელი კომპოზიტორების ნაწარმოებები. შესრულდა როგორც სოლო ნომრები, ასევე დუეტები.

კონცერტში მონაწილეობდნენ: სალომე საჯაია, ირაკლი და მარი სიჭინავები, ხათუნა გუსეინოვა, ნინი ჯღამაძე, ნინო გვარამია, ვაჩე ჩალიგავა, ენი ჩიტაია, ვარიკო და გია ესებუები, იანა აიანადი, მეგი ავთარაძე, ანა და ნანუკა დადიანები, მარიამ ჩახაია, ანა ლატარია, მარიამ სანაია.

საკლასო კონცერტს ესწრებოდნენ: კემბრიჯის სკოლის დირექტორი ფიქრია ჭყონია, მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის სამსახურის სპეციალისტები თეა გრიგოლია, ლატავრა თოდუა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომლები, მუსიკალური სკოლის პედაგოგები დ მშობლები.

კონცერტში მონაწილეებს გადაეცათ სიგელები.

დასასრულს ყველამ ერთად შეასრულა სიმღერა „ჩონგური საქართველოა"

მ. ეჯიბია

## სახელოვანი წინაპარი

**ჩვენი გაზეთის ყოფილი რედაქტორი, ღვაწლმოსილი ჟურნალისტი ბატონი ბორის შენგელია ივნისის თვეში დაბადებულა. იგი ჩვენს მეხსიერებაში ყოველთვის იცოცხლებს. გთავაზობთ ბატონ ბორის პუბლიცისტური წერილებიდან ერთ ეპიზოდს.**



### აკაკი სენაკში



ცნობილია, რომ აკაკის და, მატა იყო მეუღლე თავის დროზე ცნობილი სამხედრო პირის ალექსანდრე ვამეხის ძე დადიანისა, ცხოვრობდნენ ძველსენაკთან ახლოს, სოფელ ქვაშოხორში. პოეტი არაერთხელ სწვევია დას და სიძეს. აქ მიღებულ შთაბეჭდილებებზე აკაკის დაწერილი აქვს ლექსი „ორი სურათი" და წერილიც მოუთავსებია „დროებში".

ლეგენდად დარჩა ეს ამბავი: ქვაშოხორში აკაკისთან ერთი ჭაბუკი მისულა, მორიდებით თავი დაუკრავს და უთხოვია:

-მგოსანო, მაპატიე, რომ გითამამდები, მაგრამ გზა არა მაქვს ჩემი გასაჭირი არ გაგიმხილო, ვიწამე დამეხმარები. ერთი ასული შემიყვარდა, ვერრათი მოვიგე მისი გული. ახლა იმას გთხოვ ისეთი ლექსი დამიწერო, რომ წაიკითხავს, შევუყვარდე. ძლვნად ისეთ მიმნოს მოგგვრი მწყერებზე ნადირობაში ბადალი არ ჰყავდესო.

მგოსანს გაჰღიმებოდა და ჭაბუკისთვის ასე უთქვამს:

-ვხედავ ჭაბუკს რა ცეცხლი გიკიდია. აბა რა გითხრა, შენი სატრფოს გულს ჩემი ლექსი ისე ვერ მოინადირებს, როგორც მწყერი მიმინოსაო.

მაინც არ გაუწბილებია მგოსანს ჭაბუკი, დაურიგებია, ლექსიც დაუწერია და ისიც ფრთაშესხმული წასულა თავის სატრფოს სანახავად, ეს ლექსი რომ გადაეცა.

ასე სწამდა ხალხს აკაკის პოეზიის ჯადოსნური ძალა.

გაზეთი „კოლხეთი" 1989 №62

## 14 ივლისი-ნოდარ დუმბაძის დაბადების დღე

## (ამონარიდი ნ.დუმბაძის წერილიდან „სამშობლო")



* * *

უამრავი ნაკლის მიუხედავად, ქართველს ისეთი თაკარა გული, უმრწესი სული და მაღალი ბუნება აქვს, მთელ სამყაროს დასწვავდა, კავკასიონის მარადიული თოვლი რომ არ აგრილებდეს და აშოშმინებდეს.

* * *

საქართველო ძალიან ლამაზ და ჯიშიან ბედაურსა ჰგავს, ოქროს უნაგირით შეკაზმულ ბედაურს, თან ისე ლამაზ მდელოზე და გამოსაჩენ ადგილასაა დაბმული, ყველას უნდა შეაჯდეს, ლაგამი ამოსდოს და სარდლის ყიჟინით და ვაშას ძახილით გააჭენ-გამოაჭენოს, მაგრამ მადლობა ღმერთს, თვითონ არის ისეთი ფაქიზი და ფეთიანი, ყველა ნაძირალას არ იჯენს ზურგზე. მხოლოდ ღირსეულებს თუ შეიჯენს ხოლმე და იმათაც თუ დაკარგეს ზომიერების გრძნობა, იმათაც გადმოაგდებს და ძირს დაანარცხებს. ბევრი მინახავს ასეთი.

* * *

ქვეყნის სიყვარულს საყველპუროდ და საარშიყოდ ნუ გაიხდით. სამშობლო როსკიპი ქალი არაა, მთვრალს რომ მოგენატრება და მაშინ გაიხსენებ. სამშობლო ტაძარია სალოცავი. მუხლზე დაჩოქილი უნდა იდგე მის საკურთხეველთან, ცალი ხელით პირჯვარს უნდა იწერდე, მეორეთი კი ხმალს იქნევდე, ეშმაკები რომ არ დაეპატრონონ... და კიდევ ერთი, შესაწირავის მიტანა ვერავინ უნდა მოგასწროს ამ ტაძართან!


### განცხადება

იყიდება სახლ-კარი გეგელიას (ყოფილი ნინოშვილის) ქუჩაზე -№ 10, ეზოთი, ბელეტაჟი სახლითა და კაპიტალურად ნაგები სამზადით. სახლში შეყვანილია ბუნებრივი აირი, ფასი 35 000 დოლარი.

დაწვრილებით ინფორმაციისათვის დარეკეთ შემდეგ ნომერზე: 558 16 79 95


სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების თანამშრომლები სამძიმრს უცხადებენ ნუგზარ ძაძამიას დის

**დალის**

გარდაცვალების გამო


სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბადათურია
მენეჯერი იზოლდა ჩვამანია
კორესპონდენტი მაია ბერბაია
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

**რედაქციის მისამართი:**
**სენაკი, ჭავჭავაძის ქ. № 103 ტელ: 276150**
**რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.**
**ინდექსი 66529**

**რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში**
**რეგისტრაციის № 56/7-17**
**გაზეთი კომპიუტერზე მომზადდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქ. ფოთში შპს „ირიდა"-ს სტამბაში**
**ქ.ფოთი წმ.ნინოს №4**
**ტელ: 5 (493) 22 24 33**